№ 80.748
Date 10.12.2021

RMG COPPER

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ს დაგეგმილი აქვს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, ღია კარიერული წესით, მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს (ფართობით 11,27 ჰა) დამუშავება.

ზემოაღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-2 დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. თუმცა, ამავე კოდექსის მე-13 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სკოპინგის ანგარიშს.

დანართები:

1. მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სკოპინგის ანგარიში - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
2. მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს დამუშავების პროექტი - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
3. მუშევანი 2-ს ოქრო-სპილენძის მადნის საბადოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და რეკულტივაციის გეგმა/პროექტი - (1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) – 1 ც. CD დისკი.

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია
აღმასრულებელი დირექტორი

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com